ვირუსები, ვირიონები, პრიონები... სასწავლო გაჩერებებზე

ავტორი თინათინ ზარდიაშვილი

“სასწავლო გაჩერებები“ აქტივობების ერთობლიობაა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეუქმნას მოსწავლეებს სახალისო, საინტერესო და მამოტივირებელი გარემო, გაზარდოს მათი ჩართულობა მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მეთოდის გამოყენება გაკვეთილზე საკმაოდ შრომატევადია და წინასწარ ძალიან სკრუპულოზურ დაგეგმვას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს იმ კლასის მოსწავლეებს, რომელშიც ასეთი აქტივობების განხორციელებას გეგმავს. ვინაიდან პროცესი დროში ძალიან ზუსტად უნდა იყოს გაწერილი, ყველა ნიუანსის გათვალისწინება მნიშვნელოვანია. სასწავლო გაჩერებების რაოდენობა, ჩემი გამოცდილებით, ოთხს არ უნდა აღემატებოდეს. ჯგუფებს პრეზენტაციისთვის საკმარისი დრო უნდა მიეცეს. მათ, როგორც ჩვენ, ყველაზე მეტად შეფასების მოლოდინი აქვთ. ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებს არ გავუჩინოთ დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება. თითოეულ სასწავლო გაჩერებაზე დაგეგმილი ყველა აქტივობა დაახლოებით თანაბარ დროში შესრულებადი უნდა იყოს.

პროცედურა:

საკლასო ოთახის მომზადება: კლასში ყველა გაჩერება და შესაბამისი რესურსი სივრცეში წინასწარ უნდა იყოს გადანაწილებული. სამუშაო სივრცეები დაცილებული უნდა იყოს ერთმანეთისგან, ამიტომ უმჯობესია მსგავსი გაკვეთილი დიდ საკლასო ოთახში ჩატარდეს;

მოსწავლეების ჯგუფებში გადანაწილება: გასათვალისწინებელია მოსწავლეთა გენდერული ბალანსის დაცვა, უმჯობესია გოგოები და ბიჭები დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გადანაწილდნენ ჯგუფებში.

სასწავლო გაჩერებებზე განაწილება: პირობითად პირველი ჯგუფი განთავსდება პირველ გაჩერებაზე, მეორე ჯგუფი – მეორეზე, მესამე ჯგუფი – მესამეზე და მეოთხე ჯგუფი – მეოთხე გაჩერებაზე. ისინი ერთდროულად იწყებენ მუშაობას.

ქცევის წესების გაცნობა/შეხსენება: მოსწავლეები გაეცნობიან გაკვეთილის სპეციფიკას, ჯგუფებმა უნდა იმოძრაონ საათის ისრის მიმართულებით. უმნიშვნელოვანესია დროის ლიმიტის დაცვა. დროის გასვლისთანავე ჯგუფი უნდა გადაადგილდეს მომდევნო გაჩერებაზე. სამუშაო ფურცლები უმჯობესია ფერების მიხედვით განსხვავდებოდეს. მაგალითად, პირველი ჯგუფი სამუშაოს ასრულებს ყვითელი ფერის ფურცლებზე, რომელიც დახვდება თითოეულ გაჩერებაზე, მეორე ჯგუფი მუშაობს მწვანე ფურცლებზე და ა.შ. შესრულებულ დავალებებს კედელზე აკრავენ უკუღმა, ქაღალდის წებოვანი ლენტით. მასწავლებელი თან ახსენებს დროს და თან აკვირდება ჯგუფების მუშაობას და ინიშნავს მონაცემებს დაკვირვების ცხრილში.

პრეზენტაცია: ბოლო გაჩერებაზე ყველა ჯგუფი აკეთებს სხვა ჯგუფის ნამუშევრის პრეზენტაციას. ბოლოს ჯგუფიდან ერთი წევრი აფასებს საკუთარი ჯგუფის მუშაობის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მასწავლებელი არიგებს გასასვლელ ბარათებს, რომელიც საჭიროა გაკვეთილის შესაფასებლად და მოსწავლეთა ინტერესების გამოსავლენად.

ახლა გთავაზობთ მეათე კლასში ჩატარებული გაკვეთილის აქტივობებს. ,,სასწავლო გაჩერებებზე“ დავამუშავეთ საკითხი: ვირუსები, ვირიონები, პრიონები, ვიროიდები.

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სამეცნიერო ტექსტის დამუშავება და ვენის დიაგრამის გამოყენებით სხვადასხვა სტრუქტურის შედარება, ვიდეოს მიხედვით რომელიმე წარმონაქმნის მოდელის დამზადება და მის შეზღუდვებზე მსჯელობა, ვირუსული დაავადების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობაზე მსჯელობა.

გაჩერება 1: მოსწავლეები დაამუშავებენ ინფორმაციას და წარმოადგენენ ვენის დიაგრამის სახით სამუშაო ფურცელი N 1.
გაჩერება 2: მოსწავლეები დაამუშავებენ ინფორმაციას ვირუსული დაავადების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობის შესახებ და შექმნიან შესაბამის სლოგანს სამუშაო ფურცელი N2;
გაჩერება 3: მოსწავლეები ექსპერიმენტულად დაადასტურებენ ვირუსების საპონთან დამოკიდებულების განსხვავებას სამუშაო ფურცელი N3;
გაჩერება 4: მოსწავლეები გაეცნობიან ვიდეოს პრიონული დაავადების მექანიზმების შესახებ და უპასუხებენ შეკითხვებს სამუშაო ფურცელი N4.
თითოეული გაჩერებისთვის განკუთვნილია 8 წუთი, ჯამში – 32 წუთი. პრეზენტაციისთვის თითოეულ ჯგუფს ეძლევა 2 წუთი, გაკვეთილის შესაჯამებლად – 5 წუთი.

გამოყენებული ლიტერატურა:
https://bit.ly/3Kqik1t